დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5 მაისი 1949

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

№ 5

მაისი 1949

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო“.

ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

ჩვენი მასწავლებელი

შეგვასწავლა ანი, ბანი,
შეგვაყვარა დედა-ენა,
თავს გვევლება, ფრთებს გვისწორებს,
რომ თამამად შევძლოთ ფრენა;
რომ საქმეში სახელოვნად
გამოვადგეთ მშობელ მხარეს...
მას ახარებს ჩვენი კარგი,
მისი კარგი ჩვენ გვახარებს.
ფრთა ესხმება, როცა ყველამ
გაკვეთილი ვიცით მტკიცედ;
აი, დღეს კი დღეობა აქვს,—
ამაგისთვის ჯილდო მისცეს.
ყველამ ვნახეთ, როგორ მოსწყდა
სიხარულის ცრემლი წყვილად;
ჯილდო მისცეს და რა ჯილდო,—
ზედ ლენინის სახე ბრწყინავს!
აღმზრდელს გუნდად გარს ვეხვევით
და გვსურს ვიყოთ უფრო კარგი,
ჩვენი საქმით დავაფასოთ
მისი შრომა და ამაგი.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4932

ციცინოს პარადი

შეხეთ, პატარა ციცინოს
ცისფერი კაბა აცვია,
მაისის დიდით წამოხტა,
დაიწყო გაწამაწია;
პარადზე როგორ წავიდეს,
ჯერ ხომ სკოლაშიც არ დადის!
ადგა და თავის ეზოში
თვითონ გამართა პარადი.
მწკრივად დააწყო ტოლები;
ნინო, ვაჟა და ციალა,
პატარა დროშა წითელი
ამაყად ააფრიალა.
გალიმებული გაუძღვა
ნანას, კახას და ჟუჟუნას
და სამაისო სიმღერა
ხალისით დააგუგუნა.

გრიგოლ აბაშიძე
ნახატი **რ. ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი უჩა ჯაფარიძისა

მაქსიმ გორკი

პატარა ბელურა

ბელურებიც ადამიანებს ჰგვანან: დიდი ბელურები მოსაწყენი ჩიტუნები არიან,— ყველაფერზე ისე ლაპარაკობენ, როგორც წიგნებში სწერია; ძოზარდები კი თავისი ჭკუით ცხოვრობენ.

იყო ერთი ყვითელნისკარტა ბელურა, ჰუდიკი ერქვა. იგი აბანოს სარკმლის თავზე, ზემო თამასაზე ცხოვრობდა, ბენძის, ხავსისა და რბილი მასალისაგან ნაგებ თბილ ბუდეში. ჯერ კიდევ არ იყო აფრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნილი, მაგრამ ფრთებს უკვე იწყობ-და და წამდაუწუმ იჯუიტებოდა ბუ-დიდან: უნდოდა ჩქარა გაეგო, რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა, მისი მო-საწონი თუ იქნებოდა.

— რა გინდა, რას უეურებ?— ჰკითხავდა ხოლმე დედა-ბეღურა.

იგი ფრთას ფრთას შემოჰკ-რავდა, მიწას ჩაჰხედავდა და ჩაი-ყღურტულებდა:

— უჰ, რა შავია, შავი!

მოფრინდებოდა მამა-ბეღურა, მოუტანდა ჰუდიკს მატლს და თავს იქებდა:

— ჭიკ-ჭავ, ჭია-ღუა მოვი-ტანე!

დედა-ბეღურა შეაქებდა:

— ჭიკ, ჭიკ!

ჰუდიკი კი ჰელაპავდა მატლებს და თავისთვის ფიქრობდა:

„ნეტავ რას იბღინძებიან და იჭაჭებიან, ჰაწაწინა ჭია-ღუა მაჭა-მეს, დიდი საქმეა!“:

მერე გადმოეოფდა თავს ბუდი-დან და იჯუიტებოდა, ქვეყანას ათვა-ლიერებდა.

— ჩამალე, შვილო, ბუდეში თა-ვი, ჩამალე, ჩავარდები!—არ ის-ვენებდა ხოლმე დედა.

— ვინ ჩამაგდებს, ვინ?—ეკით-ხებოდა ჰუდიკი.

— თვითონ ჩავარდები, დაე-ცემი მიწაზე, და წკაპ! შეგსანს-ლავს კატა,—დაარიგებდა მამა და სანადირო გაინავარდებდა.

დრო გადიოდა, ფრთები კი ძა-ლიან ნელა ეზრდებოდა ჰუდიკს.

ერთხელ ქარმა დაჰქროლა.

— რა არის, რა არის?—ეკი-თხა ჰუდიკმა.

— ქარია, მოგიტაცებს და ძირს ჩაგაგდებს, კატასთან!—აუხ-სნა დედამ.

ჰუდიკს ეს არ ეჯაშნიკა:

— გაჩერდნენ ხეები, რაღას ქა-ნაობენ! მაშინ ქარიც ჩადგება...— თქვა მან.

დედამ აუხსნა: ასე არ ხდებაო, მაგრამ მაინც ვერაფერი გააგებინა. ჰატარა ბეღურა ხომ თავისებურად ხსნიდა ყველაფერს!

აბანოს წინ ბლეხმა გაიარა, ხელებს იქნევდა.

ეროვნული

— შეხედე, როგორ გაუჭუტავს კატას! — თქვა ჭუდიკმა, — ცარიელი ძვლები დაუტოვებია!

— ეს ადამიანია, ადამიანს ფრთები არა აქვს. — აუხსნა დედამ.

— რატომ არა აქვს?

— ასე გაჩენილან, უფრთოდ დადიან, ფეხებით სტიან.

— რათა?

— მაგათაც რომ ფრთები ჰქონდეთ, ხომ დაგვიჭერენ, როგორც მე და მამაშენი ვიჭერთ ხოლმე მწერებს.

— ჩუ! ჩუ! სისულელეა. — თქვა ჭუდიკმა. — ყველას უნდა ჰქონდეს ფრთები, ჰაერში ნავარდი არ სჯობს მიწაზე ცოცვას?.. დიდი რომ გავიზრდები ყველას ფრთებს გამოვაბამ.

ჭუდიკს არა სჯეროდა დედისა, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ დედას თუ არ დაუჯერე — ცუდად წავა შენი საქმე. წამოსკუპდებოდა ბუდის კიდეზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მღეროდა თავის გამოგონილ სიმღერას:

უფრთო კაცო, მამია,
ორი ფეხი გაბია,
დიდი რომ ხარ ქადილობ?
მწერი შენით სადილობს.
მე პატარა ბეღურა
მწერს თვითონ ვჭამ მეფურად.

იმღერა, იმღერა პატარა ბეღურამ და უცებ... ჩამოკოტრიალდა ბუდიდან, დედა ბეღურა მას დაედევნა, იქ კი, ძირს, — ჟანგისფერი, მწვანეთვალა კატაა ჩასაფრებული.

დაფრთხა ჭუდიკი, ფრთები გაასავსავა, პაწაწინა რუს ფეხებზე ბორძიკობს და ძლივს ქლურტულებს:

— ბოდიში, ბოდიში....

დედა-ბეღურას ბუმბული აებურძგნა, ფრთებსა ჰკრავს ჭუდიკს, გვერდზე უნდა მიაგდოს; საშინელია, გაავებულია, — ნისკარტი დაუღია და კატას თვალში უმიზნებს.

— ჩქარა, ჭუდიკ, ჩქარა, სარკმელზე აფრინდი, ჩქარა!

შიშმა ძალა მისცა პატარა ბეღურას. ისკუპა, ფრთები დაიქნია, შემოჰკრა — ერთი, ორი... და სარკმელზე გაჩნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაც მოვრინდა, კუდი აღარ აქვს, მაგრამ გახარებულია. მიუხ-ტუნდა გვერდში შვილს, თავში ნის-კარტი ჩაჰკრა და უთხრა:

— ახლა რას იტყვი?

— რა მოხდა! — თქვა ბუდიკ-მა, — ყველაფერს ერთბაშად ხომ ვერ შევისწავლი!

კატა კი ნაცუცქულა მიწაზე, თათებიდან ბეღურას ბუმბულს იშო-რებს, მწვანე თვალებს აბრიალებს და სინანულით კრუტუნებს:

— მი... მი... მი... მშვენიერი ბეღურა ყოფილა... თავგვივით რბი-ლია, მი... მი... მი... მსუქანი იქ-ნებოდა... მია... ვაი...

ასე ბედნიერად დასრულდა ყვე-ლაფერი, ოღონდ, დედა-ბეღურა უკუ-დოდ დარჩა.

თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა
ნახატები პ. დათებაშვილისა

ანდრო ლომიძე

ნახატი რ. სტურუასი

წყალქვეშა ყაჩაღი

ზღვის პირას, სადაც მდინარე ზღვას ერთვის, და-ძმა თამარი და გივი ჰორიზონტს გაჰყურებდა.

— აგერ ბოლი! — წამოიყვირა გახარებულმა გივიმ და თითი ზღვის-კენ გაიშვირა.

— გემია! — სთქვა თამარმა, — რე-ვაზი ალბათ ამ გემით მოდის.

თამარი და გივი უფროს ძმას რევაზს მოუთმენლად მოელოდნენ. ფრონტზე დაჭრილი რევაზი ჰოსპი-ტალში კარგა ხანს იწვა. გამოჯან-მრთელებულმა მშობლებს მოსწე-რა: — მოვემგზავრებიო. თამარი და გივი დილიდანვე ზღვის პირად გა-მოსულიყვნენ, რომ გემის გამოჩენა დედისათვის ეხარებინათ.

გემი ნავსადგურს მიუახლოვდა, უცებ რალაცამ ყრუდ დაიგრუხუნა. გემთან წყლის სვეტები აიმართა.

„ფაშისტების წყალქვეშა ნავმა ხომ არ დააზიანა გემი? რევაზი ხომ არ დაიღუპა?“ — გაიფიქრა თა-მარმა და თვალებზე ცრემლი მო-ადგა. მოაგონდა მამის ნათქვამი: გერმანელების წყალქვეშა ნავები ნავსადგურს ყაჩაღებივით გარს უტ-რიალებენო.

ნავსადგურიდან ზღვაში მაშინვე გავიდა რამდენიმე კატარღა.

„წყალქვეშა ნავს ეძებენ“ — გაი-ფიქრა თამარმა.

ნავებმა და კატარღებმა გემთან მოიყარეს თავი.

თამარი ჩაფიქრდა: „წავიდეს, დე-დას უთხრას რაც მოხდა? იქნებ რე-ვაზს არაფერი დაშავებია და დედა რატომ უნდა შეაშფოთოს?!“

ჯავშნიანი კატარღები ნაპირისა-კენ მიჰქროდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარმა შენიშნა: ზღვიდან მდინარეში სქელი, ჯოხის მაგვარი რაღაც შეცურდა. ჯოხი კი არ იწვა წყალში, არამედ იდგა.

თამარს გაახსენდა: როდესაც რევაზი წყალქვეშა ნავზე მუშაობდა, დაიკოს ნავში ჩასვამდა, ნავის ნაწილებს უჩვენებდა და უხსნიდა: — ამას, მილივით რომ არის ამოწვდილი, პერისკოპი ეწოდება. პერისკოპი, ჩაიძირა, შენ რომ მუშაობდი, აი, იმ ნავის პერისკოპს გავდაო.

რევაზმა შუბლი შეჰკრა: შესაძლებელია მტრის წყალქვეშა ნავმა მდინარის მღვრიე წყალს თავი შეაფარა. შეღამებამდე მდინარეში იქნება, მერე გაიპარება. ახლავე წავალ და ვაცნობებ, — გადასწყვიტა რევაზმა, თამარი და გივი სახლში გაისტუმრა და თვითონ ნავსადგურისაკენ გაბრუნდა.



როცა წყლის ზემოდ არის, ნავში ყველაფერს ვხედავთ, რაც წყლის ზედაპირზე ხდება; თუმცა ნავი ამ დროს წყალში არის ჩაძირულიო, — ეტყოდა რევაზი.

* * *

ცოტა ხნის შემდეგ, თამარმა, ნავსადგურიდან მომავალ ავტომობილს მოჰკრა თვალი. ავტომობილი შედგა, იქიდან რევაზი გადმოვიდა. თამარმა სიხარულისაგან შეჰყვირა და რევაზისაკენ გაფრინდა, გივიც მას გაჰყვა.

რევაზმა თამარი და გივი გადაჰკოცნა, მერე სახლისკენ გაემართნენ.

გზაზე თამარმა რევაზს უამბო: მდინარეში რაღაც შემოვიდა მერე

* * *

ნავსადგურში უკვე შეემჩნიათ წყალქვეშა ყაჩაღი;

სამი ჯავშნიანი კატარღა გამალებით მიჰქროდა ზღვაზე. ფოლადის ბადე ისე გაშალეს, რომ წყალქვეშა ნავს მდინარიდან ზღვაში გასვლა ვერ მოეხერხებინა. მტრის წყალქვეშა ნავმა ღამით სცადა გაპარვა, მაგრამ ბადეს წააწყდა, იტრიალა, გასასვლელი ვერ მონახა. ბოლოს ზევით ამოცურდა. მაშინ ჯავშნიანმა კატარღებმა სროლა აუტეხეს წყალქვეშა ნავს. მეტი გზა აღარ იყო, წყალქვეშა ნავზე, დანებების ნიშნად, თეთრი ალამი აფრიალდა.

ასე დაატყვევეს ჩვენებმა წყალქვეშა ყაჩაღი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ზამბახიძე

დიდი რუსი მწერალი

მიმდინარე წლის 6 ივნისს სრულდება 150 წელი დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინის დაბადებიდან.

პუშკინი ჩვენი ქვეყნის ყველაზე ცნობილი და საყვარელი მწერალია.

ჩვენს სამშობლოში იშვიათია ბავშვი, რომელსაც შესანიშნავი რუსი პოეტის სურათი არ ენახოს და პუშკინის ერთი ლექსი მაინც არ იცოდეს ზეპირად.

ას წელზე მეტი გავიდა, რაც პუშკინი მოჰკლეს, მაგრამ ამ დროის განმავლობაში მისი სახელი და დიდება არა თუ წაიშალა ხალხის ხსოვნაში, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა.

რით დაიმსახურა პუშკინმა ხალხის ასეთი სიყვარული და პატივისცემა?

ეს რომ გავიგოთ, საჭიროა მოკლედ მაინც გავეცნოთ უკვდავი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

* * *

პუშკინის ცხოვრება ისეთივე წარმტაცი და საინტერესო იყო, როგორც მისი ლექსებია.

პუშკინი დაიბადა მოსკოვში 1799 წლის 6 ივნისს. მშობლებს გარდა, მას ჰყავდა საყვარელი ბებია, მარიამ ალექსის ასული, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა თავის შვილიშვილს. პა-

ტარა პუშკინს ნაზი სიყვარულით ზრდიდა გადია, ყმა გლეხის ქალი არინა როდიონის-ასული, რომელიც ხშირად უამბობდა მას ხალხურ ზღაპრებს და უმღეროდა ხალხურ სიმღერებს.

ეს ზღაპრები და სიმღერები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ პატარა პუშკინზე. მათი საშუალებით გაიცნო და შეიყვარა პუშკინმა ხალხური შემოქმედება, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მის ლექსებსა და მოთხრობებზე.

პუშკინმა ბავშვობაში, რუსულის გარდა, კარგად იცოდა ფრანგული ენა. პოეტის მამას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიც ბევრი რუსული და ფრანგული წიგნები იყო. პუშკინს ძლიერ უყვარდა წიგნების კითხვა და ზოგჯერ მთელ დღეებს მამის ბიბლიოთეკაში ატარებდა.

პუშკინის ოჯახის წევრები ახლო იდგნენ რუსულ მწერლობასთან. პოეტის ბიძა, ვასილ ლევის-ძე, იმ დროს საკმაოდ ცნობილი პოეტი იყო. პუშკინის მამის ოჯახში ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი რუსი მწერლები:—ჟუკოვსკი, კარამზინი და სხვ. ამიტომ აქ ხშირად იმართებოდა საუბარი მწერლობაზე, თეატრზე, ახალ ლექსებსა და მოთხრობებზე.

ყველაფერი ეს კარგ გავლენას ახდენდა პატარა პუშკინზე; მას თანდათანობით უფრო და უფრო უძლიერდებოდა სიყვარული პოეზიისადმი.

პოეტის ძმის გადმოცემით, პუშკინს სულ პატარობისას დაუწყია ლექსების წერა.

როდესაც პუშკინი წამოიზარდა და სასწავლებელში მიბარების დრო მოაღწია, პოეტის ბიძამ, ვასილ ლევის-ძემ, იგი მოსკოვიდან პეტერბურგში წაიყვანა.

*

* *

პეტერბურგში 12 წლის პუშკინი ჩარიცხეს ახლად გახსნილ სასწავლებელში, რომელსაც ლიცეუმი ერქვა. ლიცეუმი იმყოფებოდა პეტერბურგის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქში, ცარსკოე სელოში, რომელსაც ამჟამად პუშკინო ეწოდება.

სასწავლებელში ყოფნის დროს პუშკინი განაგრძობდა ლექსების წერას. ყველა გრძნობდა მის დიდ ნიჭს, ნაკითხობას, მაგრამ ახალგაზრდა პოეტი ამით სრულებით არ ამაყობდა. იგი ყველასათვის საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი იყო. პუშკინის თავმდაბლობაზე ასე გვიამბობს მისი უახლოესი მეგობარი პუშჩინი: „ყველანი ვხედავდით, რომ პუშკინი ჩვენზე მცოდნე იყო და წაკითხული ჰქონდა ბევრი ისეთი რამ, რის შესახებ ჩვენ არაფერი

15 წლის პუშკინი კითხულობს თავის ახალ ლექსს: „მოგონებანი ცარსკოე სელოში“

გვსმენია, მაგრამ იგი ამით თავს არ იწონებდა და არ ეოეოჩობდა...“

ლიცეუმში პუშკინის ეოფნის დროს, 1812 წელს, რუსეთს შემოესია ფრანგთა იმპერატორის ნაპოლეონის ჯარი. დაიწყო სამამულო ომი, რომელშიაც რუსმა ხალხმა და მისმა სახელოვანმა ჯარმა გაიმარჯვა. ამ ომმა პუშკინის და ეკელა მის ლიცეუმელ ამხანაგის გულში უდიდესი პატრიოტული განცდები გამოიწვია. რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს განცდები პოეტმა ძალიან ლამაზად და ღრმად გამოხატა თავის ლექსებში.

პუშკინი 15 წლისა იყო, როდესაც მან ერთ-ერთ იმდროინდელ ჟურნალში პირველად დაბეჭდა ლექსი—„მეგობარ პოეტს“. ახალგაზრდა პოეტს დიდად ახარებდა მისი ლექსის გამოქვეყნება, მაგრამ უფრო დიდი და დაუვიწყარი იყო სიხარული, რომელიც მან 1815 წელს ლიცეუმში ჩატარებულ საჯარო გამოცდებზე განიცადა.

ხსენებულ გამოცდებს, გარდა სასწავლებლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისა, მრავალი პატივსაცემი, მოპატიჟებული პირი ესწრებოდა. დამსწრეთა შორის იმეოფებოდა ცნობილი რუსი პოეტი, 70 წლის დერჟავინი. დერჟავინთან შესვედრის მოლოდინში ეკელა ლიცეუმელი ღელავდა. ღელავდა პუშკინიც, მას გამოცდებზე უნდა წაეკითხა თავისი ახალი ნაწარმოები: „მოგონებანი ცარსკოე სელოში“. ამ ლექსში იგი ადიდებს რუსული იარაღის ძლევამოსილებას, რუსი ხალხის გამარჯვებას წარსულ ბრძოლებში და 1812 წლის ომში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რას გვიამბობს გამოცდებზე დერჟავინთან შეხვედრის შესახებ, თვით პუშკინი: „როდესაც ჩემს ლექსს—„მოგონებანი ცარსკოე სელოში“—ვკითხულობდი, დერჟავინს ორი ნაბიჯით ვიეავი დაშორებული. არ შემიძლია ავწერო ჩემი სულიერი მდგომარეობა. როდესაც ლექსში დერჟავინის სახელი უნდა მეხსენებინა, ჩემმა ხმამ ჯაბუკურად გაიწკრიალა და გული სიხარულით შემეკუმშა“.

ახალგაზრდა პუშკინის ლექსმა ეველა დამსწრეზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მოხუც დერჟავინს სიხარულის ცრემლებით აევსო თვალები.

პუშკინის ახლო მეგობარი პუშჩინი გადმოგვცემს: „საჯარო გამოცდებზე მეოფმა დერჟავინმა თავისი მაღალი კურთხევით მიმართა ნორჩ პოეტს. ჩვენ, მისი მეგობარ-ამხანაგები ამ ზეიმით ვამაყობდით. პუშკინმა არაჩვეულებრივი სიცხოველით წაიკითხა თავისი ლექსი: „მოგონებანი ცარსკოე სელოში“. ვისმენდი ნაცნობ ლექსს და ჟრუანტელი მივლიდა. როდესაც აღტაცებული და თვალცრემლიანი მგოსანი დერჟავინი ეამბორა პუშკინს ხუჭუჭ თმაზე, ჩვენც გვინდოდა მოვხვევოდით ჩვენს მგალობელს, მაგრამ სადღა იყო; იგი უკვე გაქცეულიყო!“

1817 წელს პუშკინმა ლიცეუმში სწავლა დაამთავრა. ამ დროს იგი უკვე ცნობილი პოეტი იყო.

ლიცეუმში ყოფნის დროს პუშკინმა შეითვისა ახალი, მოწინავე აზრები და სიძულვილით განიმსჭვალა მეფის მთავრობის მიმართ.

ლიცეუმში გატარებულ წლებს პუშკინი მუდამ ტკბილად მოიგონებდა ხოლმე. ამ მოგონებას მიუძღვნა მან ცნობილი ლექსი „19 ოქტომბერი“, რომელშიაც ამბობს:

„არსად—ცხოვრებამ, სულერთია,
თუნდა გვახაროს,
თუნდა საწამლავს შეგვასმევდეს იგი
მწარესა,—
არ შევიცვლებით: უცხოეთად
ვიცნობთ სამეარეს,
ხოლო სამშობლოდ—ლიცეუმის
არე-მარესა“.

(გაგრძელება იძნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

საქანელა

ჰერი-ჰერი, დელი-დელა!
გვაქანავე, საქანელავ!
აგვაფრინე, დაგვაფრინე,
მაღლა-მაღლა ავალთ ხელად!..
ჰერი-ჰერი, დელი-დელა!
გვაქანავე, საქანელავ!
ზე ავფრინდით ჯერ მსუბუქად,
გამოგვესხა თითქოს ფრთები;
მზემ თვალებში მოგვაშუქა,
ახლა ისევ ძირს ვეშვებით;
გვისარია, ცოტას ვღელავთ...
გვაქანავე, საქანელავ!
თოკებს ხელებს მაგრად ვკიდებთ,
ფეხებს ვაბჯენთ ფიცარს მაგრად;
ვიმ, ჰაერში დავეკიდეთ,
გავთამამდით, შიში გაქრა,—
გვისარია, აღარ ვღელავთ...
გვაქანავე, საქანელავ!
ზევით-ქვევით, აღმა-დაღმა,
ზე ავდივართ, ძირს ვეშვებით;
არ გვეშინევა სულაც დაღლა...
ჯერს უცდიან ძირს ბავშვები.—
რიგრიგობით, ჯერით ვეელა,
გვაქანავე, საქანელავ!

ნახატი გრ. ჩირინაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. თათარიშვილი

ნახატები ი. ხუჩიშვილისა

გურამის დანაშაული

გურამის თვალწინ ჭრელი, დამაზი პეპელა აფრინდა, ცოტა ხანს ჰაერში იფარფატა, შემდეგ ნელ-ნელა დაბლა დაეშვა.

გურამი სუდგანაბული უთვალთვალებდა პეპელას. ბროლიაც პატრონის გვერდით იდგა და მარჯვე ნახტომისათვის ემზადებოდა.

ნიავმა დაჰქროლა, პეპელა მალლა აიტაცა და ნორჩი ცაცხვის ხისაკენ გააქროლა.

დაღლილმა პეპელამ შეისვენა, მწვანე ფოთოლზე მოიდგა ფეხი და ნიავისაგან თავი რომ დაეცვა, ჭრელი ფრთები ფოთლის ზედაპირზე დააფინა. ბროლია დარწმუნდა ნადირობამ უქმად ჩაიარაო, ერთი დაიყეფა და გაჩერდა. გურამი ცაცხვის ხესთან მივიდა, ორივე ხელი მოჰხვია და ლონივრად შეარხია, პეპელა მაინც არ აფრინდა. გურამმა კვლავ შეარხია ხე; რამდენიმე ფოთოლი მოწყდა, პეპელა კი ისევ იქ იჯდა.

გურამი თითის წვერებზე შედგა, ხელი გაიწოდა, მაგრამ პეპელას მაინც ვერ მისწვდა. მაშინ გადაწყვიტა ხეზე ასულიყო. სწრაფად გაიძრო ფეხსაცმელი, ხალათიც გაიხადა. უკანა ფეხებზე დაცუცქული ბროლია დროგამოძვებით ყეფდა, თითქოს ამხნევებდა გურამს.

გურამი ნელ-ნელა მიიწევდა ცაცხვის ხის ტოტისაკენ... ნორჩი ხე სიმძიმეს ვერ უძღებდა და ქანაობდა.

როგორც იქნა, გურამი მიუახლოვდა ტოტს, ხელი მარჯვედ ჩააცალა. მაგრამ ტოტი გადატყდა. გურამსაც როდი დაადგა კარგი დღე: შეშინებულმა ხელი გაუშვა ხეს და მიწაზე გაიშხლართა. პეპელა კი არხეინად გაფრინდა.

* * *

მეორე დილით, გურამი და ბროლია კვლავ ეზოში სათამაშოდ გამოვიდნენ. გურამის ყურადღება ცაცხვის ხემ მიიპყრო: იგი შესამჩნევად გადახრილიყო. პირველი, ყველაზე უფროსი ტოტი მოტეხილი ეკიდა.

გურამს ეწყინა. მიუახლოვდა თავის საყვარელ ხეს, ხელი გადაუსვა.

მესამე დღეს ცაცხვის ხის სხვა ტოტებზედაც დამჭკნარიყო ფოთლები.

—ხმება საბრალო ცაცხვის ხე, აღბათ ფესვებიც დავუზიანე!—ფიქრობდა გურამი და არ იცოდა, რით გამოესყიდა დანაშაული. გურამთან ერთად ბროლიაც მოწყენით შეჰყურებდა ხეს.

ერთი თვის შემდეგ, გურამის მამამ გამხმარი ცაცხვის ხე ამოთხარა და ეზოს კუთხეში დაწყობილ შეშას დაუმატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს დედამ გურამს მოწყენა შენიშნა; ბავშვმა დედას ვერ დაუმალა დანაშაული და ყველაფერი უამბო.

მას შემდეგ, გურამი ყოველ დილა-საღამოს ბაღში ტრიალებდა, მცენარეებს რწყავდა, მხოლოდ ცაცხვის ხის ნადგომთან არ შეეძლო გულდამშვიდებით მისვლა.

გაზაფხულის მზიან დღეს, საბავშვო ბაღიდან დაბრუნებულ გურამს გამხმარი ხის ადგილზე, ცაცხვის ახალი ხე დაუხვდა, მამას მოეტანა და დაერგო.

ამ დღიდან გურამი ყველაზე მეტად ამ ხეს უვლიდა; ბროლიაც გარს უტრიალებდა თითქოს სდარაჯობდა ხელი არვინ შეუშალოს, ცაცხვის ხის გაზრდასო. პეპელასაც არას უშავებდა გურამი.

ნინო ნაჯაშიძე

„წამალი"

— ექიმო, ექიმო, დამეხმარეთ, ავად მყავს ჩემი პატარა გოგონა, ჩემი მშვენიერი, თვალჟუჟუნა შვილიკო. შეხედეთ, როგორ გახდა, არც ჭამს, არც სვამს, — ეუბნებოდა პატარა ანიკო ძია კოტეს და ხელში არწევდა თავის დედოფალას.

ძია კოტემ დახედა დედოფალას, მაჯა გაუსინჯა, შუბლზე ხელი დაადო და ანიკოს უთხრა:

— მართლა ძალიან ავად არის. გაცივებულა, მაგრამ არა უშავს რა, ახლავე წამალი დავალევინოთ. ერთი კოვზი მურაბა რომ გადავაყლაპოთ მორჩება.

— როგორ ფიქრობთ, ექიმო, ერთი კოვზი ეყოფა?

— ეყოფა, ცოტა წყალიც უნდა დაატანოს.

— მაშ მოიტანეთ ჩქარა, მანდ არის განჯინაში, მხოლოდ დიდი კოვზი გადმოიღეთ!..

ექიმმა კოტემ განჯინიდან მურაბა გადმოიღო და დიდი კოვზით გადააყლაპა...

ვის, თუ იცით? რა თქმა უნდა ანიკოს, და დედოფალაც მაშინვე მორჩა!

გახარებული ანიკო გულიანად იცინოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო თევზაძე

ჩიორას მერცხალი

პატარა ჩიტი მოფრინდა,
ბანზე შემოჯდა ჭიკჭიკით,
კუდმაკრატელა მერცხალი—
ეს გაზაფხულის შიკრიკი.
პატარა გოგოს დამხედა,
მოეწონე და იამა.
შემდეგ გაფრინდა და ფრთები
გაშალა, როგორც ნიავმა.
ყველა მეგობარს მოუხმო:
„გულთეთრნო, კისერშავებო,
ამ სახლში კარგი გოგოა,
არაფერს დაგვიშავებსო.
მოდით, აქ ბუდე ავაგოთ,
დავჩეკოთ წვრილი შვილები,
ჩვენსავით მოქლურტულენი,
ჩვენსავით ფრთაგაშლილები!“
შეუფრთხიალეს აივნებს,
აახმაურეს ბანები,
გადაუქროლეს ყვავილებს,
ნახეს შრიალა ყანები.
მეც ყველა მიალერსებდა,
ყველა ჭიკჭიკით მალხენდა:
—„ნახეთ, რა კარგი გოგოა,
ჩიორა ჰქვია სახელად“.

ნახატი ალ. ვეფხვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია ედილი

ნახატები ვ. ტოროტაძისა

ჯეირანი

ალმოსავლეთ საქართველოს აზერბაიჯანის მხრიდან აკრავს თვალუწვდენი ველმინდორი შირაქისა, *) რომლის ირგვლივ შემოვლას ცხენით რამდენიმე დღეს უნდება ადამიანი. შირაქი ორი მდინარის, არაზნისა და იორს შუა არის გადაჭიმული და დასერილია პატარ-პატარა გორაკებით, რომლებზედაც იმდენი ბალახი მოდის, რომ საქონელი ვერ ასწრებს მოძოვას, მთიბავი—მის თიბვას მთის ცხვარი ზამთარში ესტუმრება ხოლმე აქაურობას. ყველგან ისმის ცხვრის ბლავილი, მწყემსის საღამურის წკრიალა ხმა და ძაღლის ყეფა. შირაქი თავისი უღეველი ბალახით გულუხვად უმასპინძლდება ცხვარს.

მოვა თუ არა გაზაფხული, ცხვარი აიყრება და მთის გზას გაუდგება, შირაქი ისევ დაცარიელდება, უდაბნოდ იქცევა. ზაფხულში აქ დიდი სიცხეები იცის.

სიჩუმე გამეფდება ხოლმე მთელ შირაქში, ამ სიჩუმეში, თითქოს რალაც შურდულივით გაიშრიალებს და ისევ გაჰქრება. ეს ჯეირანი (ქურციკი) გახლავთ, პაპანაქება სიცხეშიც შირაქს შერჩენია, მისი განუყრელი შვილია. ჯეირანი გვალვას ადვილად იტანს და შეუძლია დიდხანს იმწყურვალოს. შირაქის შუაგულში კი წყაროები არსად მოიძებნება, წყალი მხოლოდ მის სანაპიროებზე არაზანზე და იორზე არის. ამიტომ სძღებს ჯეირანი შირაქში.

ჯეირანი პატარა ცხოველია, ნაცრისფერი, რქები გრძელი და წვეტიანი აქვს, კუდი—მოკლე. ფეხები—მალალი და წვრილი. ჯეირნები ჯოგებად ცხოვრობენ, საძოვრად და წყლის დასალევად ერთად დადიან. მიდიან დამწკრივებულნი და მაშინ აირევიან, თუ საიდანმე საფრთხე შენიშნეს. მხედველობა და სმენა ძალიან გამახვილებული აქვთ, პატარა ჩამიჩუმიც არ გამოეპარებათ. ჯოგს უფროსობს მამალი, ხნიერი ჯეირანი რომელიც თვალყურს ადევნებს გარემოს, საშიშროების დროს უმაღვე იწყებს ფეხების ბაკაბუკს, რაც იმის ნიშანია, ჩქარა უშველეთ თავსაო; მაშინ მთელი ჯოგი მოწყდება ადგილიდან და ელვის სისწრაფით მიჰქრის, კაცს ეგონება ჯეირანმა ფრთები გამოისხა, ფეხს მიწას ალარ აკარებსო.

ჯეირანი უწყინარი ცხოველია, მას ძალიან გემრიელი ხორცი აქვს და ეს არის მიზეზი, რომ შემოდგომა-ზამთარში მასზე ნადირობენ.

ჯეირანზე გახშირებულმა ნადირობამ და თანაც ზოგიერთი ზამთრის ყინვებმა და თოვლმა ძლიერ შეამცირა მათი რიცხვი.

ერთხელ, შირაქში ისეთი ლრმა თოვლი მოვიდა, რომ ჯეირანი საკვებს ვერ შოულობდა. მშიერი ჯეირანი შირაქიდან გარბოდა და ხშირად ინგილოთა სოფლებს მიადგებოდა; ზოგიერთი მოსახლე ჰკლავდა და სჭამდა

*) შირაქს ძველად კამბეჩოვანი ერქვა.

მათ, მაგრამ ბევრმა გულშემატკივარმა ინგილომ ჯეირანს სტუმართმოყვარეობა გაუწია.

— საღამო იყო,—მიამბო ერთმა მოხუცებულმა ინგილომ,—ძაღლების ყეფა შემომესმა, გარეთ გავედი, არავინა სჩანდა; გავძახე, არავინ მიპასუხა, ძაღლები კი ისევ განაგრძობდნენ ყეფას. ჭიშკარი გამოვაღე და ორი ჯეირანი კი დამხვდა ატუზული. შემებრალა, შემოვუშვი; ბოსელში შევრეკე და კარგად გავაძღე. მთელ ზამთარს ჩემთან იყვნენ, ბავშვებს ისე შეეჩვივნენ, რომ სახლშიც შეჰყვებოდნენ ხოლმე.

გაზაფხულზე თოვლი დადნა თუ არა, ჩემი ჯეირნებიც გაჰქრნენ, უეჭველია ისევ შირაქისაკენ გაეშურნენ.

იმ ზამთარს, ინგილოთა გულკეთილობამ გადააჩინა განადგურებას ეს იშვიათი ცხოველი ჩვენი ქვეყნისა.

ჩვენს მკითხველებს

ჟურნალ „ლილ № 3—ში მოთავსებულ გასართობზე: „ცუგო და ფისო“ —მრავალი კარგი მოთხრობა მივიღეთ; ყველაზე უწინ გამოგვიგზავნეს: **ნათელა ციხისთავმა** (ყვარელი); **მამია ჯორბენაძემ, რობერტ მშვენიერაძემ** და **გიზო გოთრგაძემ** (შორაპანი); **დათუნა მაისურაძემ, ნუნუ ფანჩულიძემ** (თელავი); **ნიკოლოზ ლალიძემ** (ს. ხაშმი, საგარეჯოს რაიონი); **მზია მასხარაშვილმა** (სოხუმი); **გივი ყორღანიშვილმა** და **შალვა ჭუჭულაშვილმა** (სილნალი); **გივი გოჩიტაშვილმა** (წნორი); **ეუეუნა ბერძენიშვილმა** (ბოლნისი); **ლიანა მოისწრაფიშვილმა, ვახტანგ ცხადაძემ, ნუგზარ გოგიაშვილმა** და **დალი მიხანაშვილმა** (თბილისი); ბავშვთა სანატორიუმის ბავშვებმა (აბასთუმანი); **სუზანა გიორგაძემ** (მახარაძე); **ნანა კიკნაძემ** (ხარაგოული); **გუგული წილოსანმა** (ს. მაჩხვარეთი, ლანჩხუთის რაიონი); **გურამ ბედოშვილმა** (ს. ანანური, დუშეთის რაიონი); **იზოლდა თვალავაძემ ნანა ნაცვლიშვილმა** და **გულნარა გერაძემ** (ს. ბაში, სამტრედიის რაიონი); **რ. ბუსქანაძემ** (ს. პირველი მაისი, ხობის რაიონი); **გურამ ნუცუბიძემ** (გორი); **გურამ ბახტაძემ** (ქუთაისი); **გური პეტრიაშვილმა** (ზნაური); **მეგი გორგოძემ** (ზესტაფონი); **ლიანა ნიქაბაძემ** (ბათუმი); **როენა ქარდავამ** (სოფ. მერხეული, გულრიფშის რაიონი); **ლეილა ლომიძემ** (ბაკურიანი) **ბიძინა მინდაძემ** (თბილისი), **იამზე მჭედლიძემ** (თბილისი) და სხვებმა.

რედაქცია ბეჭდავს ერთ-ერთ საუკეთესოდ შედგენილ მოთხრობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცუგო და ფისო

გაზაფხულის ერთ მშვენიერ მზიან დღეს ნუცამ და ნოდარმა გადაწყვიტეს აწონ-დაწონაობა ეთამაშათ. იქვე სახლის წინ, ეზოში, მოჭრილ თუთის კუნძზე გასდეს დიდი ფიცარი. აქეთ-იქიდან კოხტად დასხდნენ და მხიარული სიმღერით ქანაობას შეუდგნენ.

მზეზე გამოსულმა ფისომ მიაშურა ცუგოს, რომელიც აივანზე იწვა.

—შეხე, ცუგო, როგორ ქანაობენ! — უთხრა ფისომ და ბავშვებზე მიუთითა; ცუგომ ბავშვებს გადახედა, წამოხტა და მოაჯირზე თათებით დაეყრდნო. ფისოც ახტა და ორივემ მომღიმარი სახით დაუწყეს ნუცას და ნოდარს ყურება.

4032

—ნეტავ მალე წავიდოდნენ,—ინატრა ფისომ.—ჩვენც ვითამაშებდით არა?—ჰკითხა ცუგოს.

ბავშვებმა მალე თამაშს თავი დაანებეს და ბაღისაკენ გასწიეს:

—წამო ჩქარა!—წაჰკრა თათი ფისომ ცუგოს და დაბლა ისკუპა, ცუგოც მას მიჰყვა და მალე ორივემ „აწონ-დაწონა“ გააჩაღეს.

თურმე ამ თუთის კუნძის ქვეშ თაგვს სორო ჰქონია. როდესაც გაიგო მათი მხიარული სიმღერა, გაიფიქრა: „იქნებ ქეიფობენ, მეც მივალ და ერთ თხილს მაინც გავაკნატუნებო“. ამ იმედით გამოძვრა და იქვე მოშორებით დაჯდა. ფისომ თაგვი რომ დაინახა, გაუხარდა საკბილო ვიშოვნეო და ისკუპა. ცუგომ მიაძახა:

— თავ-ფეხი მე მომიტანე, მეც მერგ...—ცუგომ სიტყვა ვერც კი დაამთავრა რომ ამოტრიალებული ფიცრის ქვეშ ბრაგვანი მოადინა.

აქამდის მისი მხიარული სიცილი საცოდავმა წკმუტუნმა შესცვალა.

მეორე დღეს, ფეხმოტეხილი და ყბაახვეული ცუგო ყავარჯნებით ეზოში გამოვიდა, ტკივილებისაგან ცრემლები დაპალუპით ჩამოსდიოდა. მწყრალად გადახედა ფისოს, რომელიც სიცილს ძლივს იმაგრებდა და უთხრა:

არა გრცხვენია! ეს არის ჩვენი მეგობრობა?! ერთი თაგვის გულისთვის ასე როგორ გამიმეტეო!

მოსწავლე გივი გოჩიტაშვილი
წნორი

4/55
ГОСПУБЛИЧНАЯ Б-КА

ყაყაჩოს დედოფალა

კვირა დღეს, დედ-მამამ მზია და თამაზი მახლობელ გორაზე წაიყვანეს. მათ მეზობლის ბავშვებიც გაჰყვნენ.

გორაკის ფერდობები მრავალნაირი ყვავილებით იყო აჭრელებული. მათ შორის მკაფიოდ გამოიყურებოდნენ წითელი ყაყაჩოები.

ბავშვებმა ბევრი ითამაშეს, ისიამოვნეს და ლამაზი თაიგულები შეჰკრეს. მამამ მათ გვირგვინები დაუწნა და თავზე დაიდგეს, დედამ კი ყაყაჩოებისაგან ასეთი დედოფლები გაუკეთა, როგორც სურათზეა ნაჩვენები. საღამო ხანს კმაყოფილები დაბრუნდნენ სახლში.

ბავშვებო, სცადეთ, გააკეთეთ ყაყაჩოსაგან ასეთი დედოფლები.

1. გაუშლელ ყაყაჩოს ფრთხილად გაუყავით მწვანე ფურცლები. წითელი ფურცლები გაასწორეთ. ქვევიდან გაუყარეთ ნემსი და ზედ წამოაგეთ სხვა ყაყაჩოს ბუტკო, ზედ დაახატეთ თვალები, ცხვირი და პირი.

2. ახლად გაშლილ ყაყაჩოს ფრთხილად ჩამოუწიეთ ფურცლები ყუნწის მხარეს; სადაც შავი ლაქები თავდება იქ ძაფი შემოუჭირეთ. ბუტკოს მტვრიანები ერთ მხარეს ჩამოაცალეთ, დანარჩენი დაუტოვეთ. შემოცლილ მხარეს, ბუტკოზე, ფანქრის წვერით ან კალმით დახატეთ თვალები, ცხვირი და პირი.

ქეთევან კორაშვილი

ნახატი ირ. დივნოგორცევასი

პასუხისმგებელი რედაქტორი რ. მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი,
მაყვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უ[illegible]ოშვილი, ზ. ცხადაძე.
გამომცემლობა „კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ. 3-81-85
გამომცემლობის შეკვ. № 58 სტამბის შეკვ. № 496/1041 ტირაჟი 7000 უე 01858 ფასი 5 მან.
ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოვსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას" სტამბაში, თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42